საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კერა

კერა 1. ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი საცხოვრებელში. მისი გამოყენება ადამიანმა ისწავლა განვითარების ადრინდ. საფეხურზე. სავარაუდოდ, 1,8 – 2 მლნ. წლის წინ ცეცხლს იყენებდა უძველესი ადამიანი ე. წ. ზ ი ნ ჯ ა ნ - თ რ ო პ ი, რ-ის ნაშთები აღმოჩენილია ტანზანიაში, ოლდოვაის ხეობაში (ლ. ლიკის გათხრები). ჩინეთში, ჯოუ-ქოუტიანის მღვიმეში, აშელური ხანის ადამიანის – სინანთროპის – ნამოსახლარში აღმოჩნდა მუდმივი ცეცხლის კვალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ქვებისაგან მოწყობილი კ-ის ნაშთები. აშელური ხანის კ-ის ნაშთები მიკვლეულია დას. ევროპაშიც. მუსტიეს ხანიდან კ. გვხვდება ადამიანის ყველა ნამოსახლარში. ცნობილია კ-სთან მიცვალებულთა დაკრძალვის შემთხვევებიც. დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა კ-ის სხვა-დასხვა ფორმა – მრგვალი, სწორკუთხედი, ორმოსებრი, მიწის ზედაპირზე გამართული და ა. შ. მრგვალ საცხოვრებელში კ., როგორც წესი, შუა ადგილზე იყო (ნენები, ევენკები და ჩრდ. სხვ. ხალხები), სწორკუთხედებში – კედლის ახლოს (დაღ. ხალხები). გარდამავალ ტიპადაა მიჩნეული კედლისპირა კ., რ-იც შემდგომში ბუხარმა შეცვალა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი უძველესი კ. (გარკვეული წესით განლაგებული ქვები, ორმო, რ-საც ცეცხლის კვალი ეტყობა) გვხვდება ადრინდ. მუსტიეს ხანაში (წოფი, ბრინჯაოს მღვიმე), გვიანდ. მუსტიეს ხანასა (ჯრუჭულის მღვიმე) და ზედა პალეოლითის მთელ რიგ ძეგლებში (დევისხვრელი და სხვ.). შულავერში, იმირში და ხრამის დიდ გორაზე (ძვ. წ. VI–V ათასწლ.) თიხის კ-ები გვხვდება ნაგებობებში და ზოგჯერ მის გარეთაც. ხრამის დიდ გორაზე კ-ებში ნაპოვნია თიხის ანთროპომორფული ქანდაკებანი (ერთ მათგანში 17). გამომწვარი თიხის კ-ები გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. IV ათასწლ. დასასრ. – III ათასწლ. დასაწყისი) ძეგლებში (ოზნი, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა და სხვ.). წრიული ფორმის თიხის გამომწვარ კ-ს შიდა მხარეს აქვს რამდენიმე შვერილი. კ-ებს იყენებდნენ გასათბობად, საჭმლის მოსამზადებლად, ცდილობდნენ მასში ცეცხლი

არასდროს გამქრალიყო. ამავე დროს ის ოჯახის წმინდა, საკულტო ადგილიც იყო. იქვე სრულდებოდა სხვადასხვა რელიგ. რიტუალი. კ-ები გვხვდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრული I ათასწლ. დასაწყისი) ნამოსახლარებში (ხოვლეგორა, დიღომი). ფეოდ. ხანის თიხის კ-ებია აღმოჩენილი ურბნისში (IV–VIII სს.), დმანისში (XI–XIII სს.) და სხვ.; ქვით ნაგები კ-ები – არახლოზე (XII–XIII სს.), ქოჩულოში (XII–XIII სს.) და სხვ. გვიანდ. ფეოდ. ხანაში მას ზოგჯერ თონე ცვლიდა. თონის მსგავსი უძველესი კ-ები აღმოჩენილია სამადლოსა და ციხეგორაზე (ძვ. წ. IV–III სს.).

ქართვ. ხალხის ძვ. საცხოვრებელ ნაგებობებში (მთის სახლი, ოდა, დარბაზული სახლი) კ. საცხოვრებლის ცენტრში იყო გამართული. აქვე იყო ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი – ყვერბი, პურის გამოსაცხობი ოთხფეხა კ. (სვანეთი), ჯაჭვის ჩამოსაკიდებელი – აყარი და სასანთლე – საკვარე. კ-თან სრულდებოდა სხვადასხვა საწესო ჩვევები, მაგ., პატარძლის წაღმა დატრიალება, მესისხლეთა შერიგება და სხვ.

2. გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავდა ოჯახს, სახლ-კარს, რაზეც მიანიშნებს შემდეგი გამოთქმები: კ-ის დავსება, კ-ის გაცივება, კ-ის დანგრევა და სხვ.

3. ადგილი, საიდანაც რაიმე მოვლენა ან მოძრაობა იწყება და ვრცელდება.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011; ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961; ჩ ი ტ ა ი ა გ., გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, «მიმომხილველი», 1926, ტ. 1; მ ი ს ი ვ ე, შრომები, ტ. 1, თბ., 1997.

ნ. ვაჩეიშვილი

მ. ჩართოლანი